186
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1980 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5399/

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი — აპრილი 1980 წ.

## შინაარსი

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

21. სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ.
22. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
23. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 27 მაისის № 807 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ .
24. „საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 თებერვლის № 160 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

25. ქ. თბილისის № 42 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელის მიკუთვნების შესახებ.
26. ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებასა და 1979 წლის 26 ივლისის № 519 დადგენილებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შესახებ.

მარჯვის სახ. საქ. სსრ
საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

28. „იმ საწარმოთა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიის შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების თაობაზე.

29. თბილისის საკონდიტრო მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გარდაქმნის შესახებ.

30. სამსახურებრივ მივლინებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

31. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს (თბილქალაქმომარაგებაგასაღება) დებულების დამტკიცების შესახებ.

32. მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.

33. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული პროფესიული-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭოს დებულების და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

34. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

35. სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 21 სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ 1977 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის ახალ სისტემაზე გადასვლამ, როცა დამზადების ფუნქციები დაეკისრათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ხელი შეუწყო რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამზადებისა და რეალიზაციის ერთიანი მწყობრი სისტემის შექმნას, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა სოფლად, გაუმჯობესდეს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა პირადი დამხმარე მეურნეობის გაძღოლისადმი ხელმძღვანელობა, შეტანილ იქნეს მასში გეგმიანობის ელემენტები, მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შემდგომი დაახლოება, განმტკიცდეს შრომის დისციპლინა მეურნეობებში, შეიქმნას პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების პერიოდში ბოროტმოქმედებათა თავიდან ასაცილებლად. ახალი სისტემის დანერგვამ ბევრად განაპირობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მოცულობის გადიდება როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებში, ისევე სოფლის მოსახლეობაში. მიმდინარე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ზრდამ შეადგინა 62 პროცენტი, ანუ 1.300 ათას ტონაზე მეტი, ნაცვლად დამზადების ახალ სისტემაზე გადასვლამდე მიღწეული 800 ათასი ტონისა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს სადამზადებლო საქმიანობისაგან.

ამასთანავე სამი წლის მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის ახალ სისტემას მთელი რიგი ნაკლოვანებანი აქვს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმწოდებელთა და მყიდველთა შორის ურთიერთანგარიშსწორების არსებული სისტემა რთულია და ანელებს სახსრების ბრუნვადობას, ხელს უწყობს დებიტორული დავალიანების გადიდებას. მთელ რიგ მეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებიც მცირე მოცულობით აწარმოებენ პროდუქციას, განიცდიან სიძნელეებს მისი გაგზავნის მხრივ, შესაძლებლობა არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში საპრეტენზიო დავის განხილვაში; სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული სამეურნეობათაშორისო გაერთიანებანი არ კისრულობენ პასუხისმგებლობას დამზადებული და რეალიზებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობისათვის და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის სისტემის შემდგომი განმტკიცებისა და სრულყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს მუშაობა, რომელიც ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გასწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დამზადების ახალი სისტემის პირობებში, და მათ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიჩნეულ იქნეს შემდგომი აქტიური მონაწილეობა როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებში, ისევე მოსახლეობის მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის ორგანიზაციაში.

2. დაწესდეს, რომ:

— როგორც საზოგადოებრივი მეურნეობების, ისევე მოსახლეობისათვის დაწესებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები ეგზავნებათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წარდგენის საკითხი განსახილველად დაისმება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი შეასრულებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმას მოსახლეობაშიც.

3. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვის დავალებებს დაუგზავნიან თითოეულ კომლს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებათა წარმომადგენლებთან ერთად დადებენ ურთიერთდამავალდებულებელ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს.

4. დამზადებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებათა პასუხისმგებლობის გაძლიერების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ მთელი მოწეული პროდუქციის რეალიზაციისათვის მაქსიმალურად მოსახერხებელი პირობების შექმნის და მყიდველებთან ურთიერთანგარიშსწორების მოწესრიგების მიზნით მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, და დაეკისროთ 1980 წლის 15 აპრილიდან საზოგადოებრივ მეურნეობებსა და მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დამზადების ფუნქციები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სამეურნეობათაშორისო რაიონულ გაერთიანებებს, ამასთან არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეხსნათ პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

5. დაწესდეს, რომ:

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანებანი არიან სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოთა და სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებათა ქვედანაყოფები იურიდიული პირის უფლებებით, ხოლო გაერთიანებათა თავმჯდომარენი—სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსთა და სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებების თავმჯდომარეთა მოადგილენი;

— გაერთიანებანი „აფხაზსოფლდამზადება", „აჭარსოფლდამზადება" არიან შესაბამისი სოფლის მეურნეობის სამინისტროების ქვედანაყოფები, სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საოლქო გაერთიანება — სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს ქვედანაყოფი, ხოლო ამ გაერთიანებათა თავმჯდომარენი — შესაბამისი სოფლის მეურნეობის მინისტრებისა და სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსის მოადგილენი;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებათა დამამზადებლები და მოცემული მეურნეობის ტერიტორიაზე მომუშავე სხვა მუშაკები აირჩევიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საერთო კრებებზე, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობიდან და ამის შემდეგ დაინიშნებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებათა ბრძანებებით:

— დამამზადებლები და სხვა მუშაკები აღრიცხვაზე იმყოფებიან იმ მეურნეობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი მუშაობენ, აგრეთვე იღებენ ხელფასს, რომელსაც გადაურიცხავენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანებანი.

უფლება მიეცეთ საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების დირექტორებს დააჯილდოონ მათ ტერიტორიაზე მომუშავე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებლები პრემიებით ამ პროდუქტების დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების სპეციალისტთა დონეზე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს დააწესონ მათ ტერიტორიაზე მომუშავე დამამზადებელთათვის პრემირების ანალოგიური პირობები;

— მოსახლეობაში პირუტყვის, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების, დამზადებას ახორციელებენ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების" რაიონული გაერთიანებანი თავიანთ დამამზადებელთა ძალებით, რისთვისაც საჭიროების კვალობაზე მოაწყობენ სპეციალურ პირუტყვმიმღებ პუნქტებს, სადაც საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო მიიღებს პირუტყვს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკების მიხედვით;

— პასუხისმგებლობა მოსახლეობაში პირუტყვის დამზადების ორგანიზაციისა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების" რაიონულ გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებათა პირუტყვმიმღებ პუნქტებამდე მისი ტრანსპორტირებისათვის ეკისრებათ შესაბამის მეურნეობათა ხელმძღვანელებს;

— დამზადებული პროდუქციისათვის მოსახლეობასთან ანგარიშსწორება ხორციელდება ყველა შემთხვევაში მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სალაროების მეშვეობით რაიონული გაერთიანებების მიერ ამ მიზნით გადარიცხული სახსრებიდან.

6. ნება დაერთოთ ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომელთაც აქვთ განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მაპროფილებელი პროდუქციის წარმოების დიდი მოცულობანი, დაამზადონ ეს პროდუქცია ყველა სექტორში და უშუალოდ მიაწოდონ მყიდველებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული განრიგების მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ყველა დანარჩენი სახეობის პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციას მთლიანად ახორციელებენ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადება“ და მისი ადგილობრივი ორგანოები.

ამასთან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებენ და უშუალოდ აწვდიან მომხმარებლებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, სადამზადებლო საქმიანობის შედეგების მიხედვით ანგარიშს აბარებენ შესაბამის რაიონულ გაერთიანებას და რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლდამზადებას“.

მეციტრუსეობის რესპუბლიკურმა საწარმოო გაერთიანებამ მიაწოდოს მომხმარებლებს დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული განრიგების მიხედვით.

დაწესდეს, რომ მეურნეობები, რომლებიც უშუალოდ უგზავნიან პროდუქციას მყიდველებს, წილობრივ მონაწილეობას იღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის საჭირო ფონდების შექმნაში სადამზადებლო საქმიანობისაგან მიღებული მოგების ხარჯზე, მეპაიე მეურნეობების წარმომადგენელთა საერთო კრების განსაზღვრით.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ შესახებ;

— ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად 1980 წლის 10 აპრილამდე განსაზღვროს მაპროფილებელი პროდუქტების დამამზადებელი და უშუალოდ მიმწოდებელი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და დაამტკიცოს მათი ნუსხა;

— უმოკლეს ვადაში განსაზღვროს და დაამტკიცოს საზოგადოებრივი მეურნეობებისაგან რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ რაიონული გაერთიანებებისათვის გადასაცემი მიმღები პუნქტების, საფუთავი ქარხნების, გადამმუშავებელი საწარმოების, პავილიონების, სატრანსპორტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებების დისლოკაცია, აგრეთვე შესაბამისი საშტატო ერთეულები და ზღვრული ასიგნებანი;

— ნება დართოს საზოგადოებრივი მეურნეობებისაგან გადაცემული საქონელმცოდნეთა, პუნქტების გამგეთა და აღმრიცხველთა ოპერატიულ-სასაწყობო აპარატის შენახვა დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში და დამზადების ბრუნვის პროცენტულად;

— შექმნას რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლდამზადებასთან“ ავტოსატრანსპორტო საწარმო, რისთვისაც გამოყოს ამ მიზნით 1980 წელს არანაკლებ 50 სატვირთო ავტომანქანა;

— შექმნას რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლდამზადებასთან“ სარემონტო-სამშენებლო კანტორა;

— 1980 წლის 10 აპრილამდე ჩაატაროს ამ დადგენილების საფუძველზე რაიონული სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარები დამზადების სისტემაში ცვლილებათა საკითხებზე;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებით მეურნეობათა და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის რაიონულ სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით შეიმუშაოს 1980 წლის 1 მაისამდე და წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი შეთანხმების მიხედვით დათქმულ ფასებში სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობის გადიდებისა და მისი რეალიზაციის პრაქტიკის მოწესრიგების შესახებ.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და 1980 წლის 1 მაისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული დავალებების შესასრულებლად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოების ავტოტრანსპორტით მომსახურების შესახებ.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს ცალკე სტრიქონად კაპიტალური მშენებლობის ლიმიტებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადებისათვის“.

10. დაევალოს კომისიას ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის (თავმჯდომარე), ო. ვ. ქვილითაიას, ა. ი. კიკნაველიძის, შ. მ. ეცადაშვილისა და ვ. ა. ფირანიშვილის შემადგენლობით 1980 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედისათვის, განსაზღვროს მისი დაფინანსების წყაროები და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლდამზადებას“ დაეკისრა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვისა და ქვეყნის მომხმარებელთათვის მიწოდების ფუნქციები, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც წინათ ცეკავშირის სისტემა ასრულებდა, ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გაავრცელოს აღნიშნულ გაერთიანებაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში დავის განხილვის ის პირობები, რაც მინიჭებული აქვს „ცენტროსოიუზს“, რომელიც ასრულებს ანალოგიურ ოპერაციებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

12. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები იმის შესახებ, რომ:

— მეურნეობებს, რომლებიც უშუალოდ აწვდიან სოფლის მეურნეობის პროდუქციას მომხმარებლებს, მიეცეთ უფლება მიიღონ 3-პროცენტიანი ანარიცხები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის;

— შორ მანძილზე მომხმარებელთათვის მიწოდებულ ციტრუსოვანთა ნაყოფზე გავრცელდეს ხარისხის გაუარესებისა და წონაში დანაკარგის ის შეღავათები, რომლებიც შემოღებულია თესლოვანი ხილისათვის.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1980 წ. 25 მარტი, № 262

## 22 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 26 თებერვლის № 248 დადგენილება „კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილების, მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების საქმის ხელმძღვანელობაში ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“.

2. მე-13 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 დეკემბრის № 741 დადგენილე-

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა „საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე დედა ქალებისადმი დახმარებისა და ბავშვთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შემდგომი ზომების შესახებ“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1980 წ. 25 მარტი, № 266

## 23 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 27 მაისის № 807 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 27 მაისის № 807 დადგენილება „გატაცებული ან დანაკლისი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ღირებულების დამნაშავეთათვის გადახდევინების იმ წესის შესახებ, რომელიც დადგენილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ“.

| | |
|---|---|
| ასაქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ბ. კოლბინი.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 აპრილი, № 342

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 24 „საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 თებერვლის № 160 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

„საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 4 დეკემბრის № 985 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 19 თებერვლის № 151 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

შეტანილ იქნეს „საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 თებერვლის № 160 დადგენილებაში ცვლილება და მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ, რომ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობებს მიეცეთ დადგენილი წესით მიწის ნაკვეთები სახელმწიფო მიწის მარაგის, სახელმწიფო ტყის ფონდის, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიწებიდან, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გამოუყენებელი მიწებიდან და, როგორც გამონაკლისი, ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ არაეფექტიანად გამოყენებული მიწებიდან“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური<br>კომიტეტის მდივანი<br>**ბ. კოლბინი.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 აპრილი, № 343

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 25 ქ. თბილისის № 42 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და ქ. თბილისის № 42 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას მიეკუთვნოს აკადემიკოს ილია ნესტორის ძე ვეკუას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი. 1980 წ. 10 მარტი, № 195

### 26 ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებასა და 1979 წლის 26 ივლისის № 519 დადგენილებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და:

ა) „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებაში II განაყოფის „ა“ პუნქტი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით.

— ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებნი, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები: მეორე და მესამე გამოცემები — ამ დადგენილების I განაყოფით გათვალისწინებული შესაბამისი განაკვეთის 70 პროცენტი, მეოთხე გამოცემა — 60 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 50 პროცენტი, მეექვსე და შემდგომი გამოცემანი — 40 პროცენტი თითოეული;

ბ) „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 ივლისის № 519 დადგენილების I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფის №№ 14, 16 და 18 პუნქტები იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ლიტერატურის სახეობანი | ტირაჟი (ათასი ცალი) | ჰონორარის განაკვეთი (მანეთი) საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტროქონი |
|---|---|---|---|
| 14. | ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები, აგრეთვე წინასიტყვაობანი, ბოლოსიტყვაობანი, შესავალი სტატიები ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებებისათვის | 10 | 165, 220, 275, 300, 330, 350, 400 |
| | მასობრივი გამოცემანი: | | |
| 16. | მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის), აგრეთვე მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, პიესები, კინოსცენარები, ნარკვევები და მემუარები | 21—40 | 300, 350, 400 |
| 18. | პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის), აგრეთვე პიესები (სტრიქონში) | 8—20 | 1,5 1,75 1,75 2 |

გ) აღნიშნული ცვლილებები განხორციელდეს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 20 მარტი, № 223

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 27 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მარტის № 222 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი;

ა) 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცში და მე-5 პუნქტის უკანასკნელ აბზაცში სიტყვა „რადიოთი“ შეიცვალოს სიტყვებით: „ტელევიზიითა და რადიოთი“;

ბ) მე-6 პუნქტში სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებს“, „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას“, „საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს“ — შესაბამისად — შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს“, „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს“, „საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს“, ხოლო სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას“, „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს“, „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას“ ამოღებულ იქნეს.

2. შეტანილ იქნეს „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 181 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

ა) მე-2 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში გაითვალისწინონ, რომ გამოეყოს:

სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოებს — მათ მიერ მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო მასალები, ამასთან მხედველობაში იქონიონ ამისათვის პირველ რიგში ადგილზე დამზადებული საშენი მასალების გამოყენება“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-4 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები;

გ) მე-6 პუნქტში სიტყვები: „სამინისტროებსა და უწყებებს“ შეიცვალოს სიტყვებით: „სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს“;

დ) დადგენილების ტექსტში მოხსენიებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოები შეიცვალოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებით.

3. შეტანილ იქნეს „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 31 აგვისტოს № 477 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი;

ბ) მე-6 პუნქტის უკანასკნელი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „და შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 20 აგვისტოს № 589 დადგენილებისა „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის იმ სარგოების შენარჩუნების წესის შესახებ, რომელთაც ისინი წინათ იღებდნენ“;

გ) 1-ლ, მე-3 და მე-10 პუნქტებში სიტყვები: „კომუნალური მეურნეობის სამინისტროს“, „სამინისტროებისა და უწყებების“ და „სამინისტროებთან და უწყებებთან“ შეიცვალოს სიტყვებით: „საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს“, „სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების“ და „სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან“;

დ) დადგენილებაში მოხსენებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოები შეიცვალოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 21 მარტი, № 226

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 28 „იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიის შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატებების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ცალკეული უწყებების სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, პუნქტი 113.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 21 მარტი, № 227

## 29 თბილისის საკონდიტრო მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და გარდაიქმნას თბილისის საკონდიტრო მრეწველობის საწარმოო გაერთიანება საქართველოს საკონდიტრო მრეწველობის საწარმოო გაერთიანებად, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიური“ (მთავარი საწარმოო ერთეული), თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „საამო“ (საწარმოო ერთეული), ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკები, როგორც დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით, და აღნიშნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება უშუალოდ დაექვემდებაროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 2 აპრილი, № 250

## 30 სამსახურებრივ მივლინებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სამსახურებრივ მივლინებათა თაობაზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 49 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 ივნისის № 666 დადგენილება „სამივლინებო სახსრების ხარჯვაში წესრიგის დამყარებისა და ნამეტობის ლიკვიდაციის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 612 დადგენილება „თანამდებობის პირთა მივლინებების დროს დარღვევების აღმოფხვრისა და სამივლინებო სახსრების ხარჯვაში ნამეტობის ლიკვიდაციის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 579 დადგენილება „თანამდებობის პირთა მივლინების დროს ნამეტობისა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ“;

— 1-ლი და მე-2 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 მაისის № 321 დადგენილებისა „სამსახურებრივი მივლინებების მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 49 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებით დაგზავნილი „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის — „საკითხები, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად“ — მე-6 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 4 აპრილი, № 254

## 31 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებაგასაღების სამმართველოს (თბილქალაქმომარაგებაგასაღება) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს (თბილქალაქმომარაგებაგასაღება) თანდართული დებულება.

2. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 აგვისტოს № 449 დადგენილება „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1980 წ. 4 აპრილი, № 255

ბიბლიოთეკა
16645
ბ. მარჯანის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 4 აპრილის № 255
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველოს შესახებ

1. თბილისის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სამმართველო (თბილქალაქმომარაგებაგასაღება):

— არის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში და წარმოადგენს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოს;

— სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიშები სახელმწიფო და სამშენებლო ბანკის განყოფილებებში, მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება;

— თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

2. თბილქალაქმომარაგებაგასაღების ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი ქმნიან მის საწესდებო ფონდს, რომელიც აისახება სამმართველოს ბალანსში.

3. თბილქალაქმომარაგებაგასაღების მთავარი ამოცანებია:

— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სისტემის ორგანიზაციების გეგმიანი და დროული მომარაგება მოწყობილობა-დანადგარებით, სატრანსპორტო საშუალებებით, მექანიზმებით, საშენი მასალებითა და სხვა მატერიალური ფასეულობებით;

— საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ნომენკლატურის პროდუქციაზე მომხმარებლებისაგან განაცხადების მიღება, კრებსითი განაცხადების შედგენა და მათი წარდგენა, გამოყოფილი ფონდების განაწილება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემის ორგანიზაციებს შორის;

— წლის განმავლობაში ყველა სახეობის მატერიალური რესურსების დამატებით გამოყოფაზე მოთხოვნილების წარდგენის წინადადებების მომზადება, დამატებით გამოყოფილი პროდუქციისა და აგრეთვე რეზერვების მომხმარებელთა შორის განაწილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემის ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების რეალიზაცია და ფასეულობათა ბრუნვადობის დაჩქარება.

4. თბილქალაქმომარაგებაგასაღება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— ხელმძღვანელობს როგორც სამმართველოს, ისე აღმასკომის სისტემის ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მიწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმების სამუშაოებს და ახორციელებს კონტროლს მისი შესრულებისადმი;

— სისტემატურად ადევნებს თვალყურს პროდუქციის მიწოდების გეგმების და ვალდებულებათა დროულ შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში იღებს სათანადო ზომებს;

— შეისწავლის დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით მათს მოთხოვნილებას აუცილებელ სახეობათა პროდუქციაზე და რესურსების გაზრდის მიზნით ახორციელებს დეცენტრალიზებულ შემოზიდვას;

— განსაზღვრავს მომხმარებელთა მონაწილეობით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ოპტიმალურ ფორმებს, დაადგენს, თუ რომელი პროდუქცია და რა რაოდენობით უნდა მიეწოდოს მათ გამოყოფილი ფონდების ფარგლებში საწყობის მეშვეობით თუ ტრანზიტად;

— გააფართოებს და განამტკიცებს პირდაპირ, რაციონალურ კავშირს საწარმოებთან და მომწოდებელ ორგანიზაციებთან სათანადო ხარისხის, საჭირო ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციით მომხმარებელთა შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით;

— სისტემატურად ნერგავს მომარაგების საქმეში ეფექტურ სისტემებს და შრომითს ორგანიზაციას, სრულყოფს მართვის ორგანიზაციულ ფორმებს;

— ყოველ კვარტალში მოახსენებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესრულების მიმდინარეობას;

— სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს გაანგარიშების საფუძველზე შედგენილი გეგმის შესაბამისად;

— საწარმოს ინტერესებისათვის უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგებს შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების მინიმალური დანახარჯებით. მკაცრად იცავს მომჭირნეობის რეჟიმს, ამცირებს სამუშაოთა და მომსახურების თვითღირებულებას. ამაღლებს სამმართველოს რენტაბელობას;

— უზრუნველყოფს და სისტემატურად სრულყოფს შესრულებულ სამუშაოთა და მომსახურების მაღალ ხარისხს. შესაბამის ორგანოებში აყენებს საკითხს იმ მოწყობილობათა და მექანიზმების შეცვლის შესახებ, რომლებიც ვერ უპასუხებენ ტექნიკურ პირობებსა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს;

— განიხილავს მასალებისა და მოწყობილობათა ხარჯვის ნორმებს იმ ნომენკლატურის მიხედვით, რომელზედაც ადგენს განაცხადებს;

— უზრუნველყოფს გამოუყენებელი მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციას არსებული წესების შესაბამისად;

— გადაანაწილებს აუთვისებელ ფონდებს გეგმების ან მასალათა ასორტიმენტის ცვლილებათა მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახორციელებს ძირითად საშუალებათა რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს დადგენილი წესით;

— ახორციელებს რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურად გამოყენების, სისტემატური გაუმჯობესების, დატვირთვა-გადმოტვირთვის ორგანიზაციას, ამ სამუშაოთა მექანიზაციას და სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენის შემცირების ღონისძიებებს;

— ეწევა ოპერატიულ საქმიანობას საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით დროულად ადგენს დასაბუთებულ განაცხადს ძირითადი პროგრამის შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებზე;

— განმკარგულებელია თავისი ფინანსური რესურსებისა, უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიას სახსრების ხარჯვასა და მათ მიზნობრივად გამოყენებაში, აგრეთვე დროულ ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკის დაწესებულებებთან, მიმწოდებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;

— აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, ადგენს პერიოდულ და წლიურ კრებსითს ანგარიშებს და დადგენილ ვადებში უდგენს მათ შესაბამის ორგანოებს, ნერგავს აღრიცხვის ფორმებისა და გამოთვლითი სამუშაოების მოწინავე მეთოდებს;

— გამუდმებით სრულყოფს თავის სტრუქტურას საწარმოს მართვის პროგრესული სქემის გამოყენების საფუძველზე. ეწევა მმართველობის ხარჯების მაქსიმალურად შემცირებას სამმართველოს საქმიანობაში თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვით, აითვისებს და აუმჯობესებს შრომის ორგანიზაციას და ნორმირებას, ქმნის მაღალმწარმოებლური მუშაობის პირობებს, აღწევს შრომის ნაყოფიერების მუდმივ ზრდას, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის, შრომის დისციპლინის წესების დაცვას;

— ახორციელებს ღონისძიებებს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესებისათვის, როგორც პირადი, ისე კოლექტივის შრომის შედეგით, ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯავს ხელფასის ფონდს და უზრუნველყოფს დროულ ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან;

— სისტემატურად აუმჯობესებს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

5. თბილქალაქმომარაგებაგასაღება საკონტროლო ციფრების საფუძველზე შეიმუშავებს წლიურ გეგმებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით დადგენილი მაჩვენებლების შესაბამისად და დასამტკიცებლად წარუდგენს საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

6. საქალაქო საბჭოს აღმასკომი დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით სამმართველოს მონაწილეობით განიხილავს და დაამტკიცებს საგეგმო დავალებებს.

7. თბილქალაქმომარაგებაგასაღება:

— მისთვის დადგენილი საგეგმო მაჩვენებლებისა და მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ამუშავებს სამეურნეო და საფინან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო საქმიანობის წლიურ, კვარტალურ და თვიურ გეგმებს, რომლებსაც ამტკიცებს სამმართველოს უფროსი;

— ახორციელებს ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით;

— იძენს მისი სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელ მოწყობილობადანადგარებს და სხვა მატერიალურ ფასეულობას;

— აღმასკომის მიერ დადგენილი საერთო ნორმატივის ფარგლებში განსაზღვრავს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივს ელემენტების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ საკუთარი საბრუნავი საშუალება ხელს უწყობდეს მატერიალური და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას, ბრუნვადობის დაჩქარებას;

— სარგებლობს ბანკის კრედიტით და პასუხისმგებელია მისი მიზნობრივი გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის;

— ბალანსიდან ჩამოწერს მორალურად მოძველებულ, გაცვეთილ და შემდგომი ხმარებისათვის უვარგის მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ინვენტარსა და ინსტრუმენტებს, როცა მათი აღდგენა ეკონომიურად მიზანშეუწონელია, ხოლო რეალიზაცია შეუძლებელია, აგრეთვე შენობა-ნაგებობებს, რომლებიც აღებული იქნება ავარიულობის ან ახალი ობიექტის მშენებლობის დროს;

— შეიმუშავებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას აღმასკომის მიერ დამტკიცებული საერთო ხელფასის ფონდისა და ხარჯების ასიგნებათა ფარგლებში;

— ადგენს მუშათა ცალკეული ჯგუფებისათვის სანარდო, საგანაკვეთო ან გამომუშავების შრომის ანაზღაურებას;

— ადგენს მაჩვენებლებს, პირობებს და რაოდენობას მუშათა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემირებისათვის დადგენილი ტიპობრივი დებულების შესაბამისად;

— შეიმუშავებს სტრუქტურასა და შტატს სამრეწველო საწარმოს ტიპობრივი სტრუქტურისა და შტატის შესაბამისად.

8. თბილქალაქმომარაგებაგასაღებას სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია.

9. სამმართველოს უფროსის მოადგილეს და მთავარ ბუღალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს სამმართველოს უფროსის წარდგენით საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

10. სამმართველოს უფროსი, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასკომის საერთო ხელმძღვანელობით, ერთმმართველობის საფუძველზე ახორციელებს „სოციალისტურ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს“ დებულებიდან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობას და პასუხს აგებს საწარმოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობაზე, საფინანსო გეგმების შესრულებაზე, სახელშეკრულებო, საფინანსო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. სამმართველოს უფროსი მინდობილობის გარეშე მოქმედებს სამმართველოს სახელით, ითვლება მის წარმომადგენლად ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს საწარმოს ქონებას და საშუალებებს კანონმდებლობის საფუძველზე.

12. სამმართველოს უფროსის მოადგილე თავის კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს სამმართველოს სახელით, ითვლება სამმართველოს წარმომადგენლად სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში, შეუძლია მოახდინოს სამეურნეო ოპერაციები და დადოს ხელშეკრულებანი მინდობილობის გარეშე, აგრეთვე გასცეს მინდობილობა სამმართველოს თანამშრომლებზე.

13. წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებზე, ჩეკებზე, ვალდებულებებსა და სხვა ფულად დოკუმენტებზე ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე და მთავარი ბუღალტერი.

14. სამმართველოს ამოცანებისა და საქმიანობის განსახორციელებლად სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

— მისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები სამმართველოსადმი და შეამოწმოს მათი შესრულება;

— შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები, გამოიყენოს წახალისებისა და დასჯის ზომები;

— გაატაროს ბანკში ყველა სახის საჭირო ოპერაციები სასესხო ოპერაციების ჩათვლით;

— წარადგინოს სარჩელი სასამართლო და საარბიტრაჟო ორგანოებში;

— გასცეს სამმართველოს სახელით რწმუნებანი და მინდობილობანი სხვადასხვა სახის ხელშეკრულებათა დასადებად, სამმართველოსათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობათა შესაძენად, საჭირო სამუშაოთა წარმოებაზე, სადგომის იჯარაზე, მომსახურებაზე;

— დაამტკიცოს და შეცვალოს სამმართველოს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა აღმასკომის მიერ ამ დანიშნულებით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში;

— დაამტკიცოს სტრუქტურა და შტატები სამრეწველო საწარმოს ტიპობრივი სტრუქტურისა და შტატების შესაბამისად;

— დაამტკიცოს და შეცვალოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის დონე თანამდებობრივი განაკვეთების სქემისა და საშტატო განრიგით დამტკიცებული საშუალო შესაბამისი ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— დაუდგინოს მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და სხვა სპეციალისტებს ხელფასის დანამატი თანამდებობრივი განაკვეთის 30 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის დაგეგმილი ფონდის ფარგლებში ამ მიზნით დაგეგმილი ფონდის 0,3 პროცენტის გამოყენებით.

15. სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული შტატი, ხელფასი, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 31332

16. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას ეწევა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი დაინტერესებულ ორგანიზაციათა ჩაბმით, კომპლექსურად, წელიწადში ერთხელ.

17. თბილქალაქმომარაგებაგასაღების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით „სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს“ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

---

## 32 მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 აპრილი, № 308

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 22 აპრილის № 308 დადგენილებით

# დებულება
## მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებისა

### I. ზოგადი დებულებანი

1. მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება შექმნილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 იანვრის № 71 დადგენილების საფუძველზე. ეს გაერთიანება წარმოადგენს ერთიან საწარმოო-სამეურნეო კომპლექსს, რომლის საქმიანობა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების საფუძველზე. ამასთან რაიონის სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების პროგრამის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ყველაზე განვითარებულმა მეურნეობებმა — გამსხვილებულმა კოლექტიურმა და სახელმწიფო მეურნეობებმა, სამეურნეობათაშორისო და გადამმუშავებელმა საწარმოებმა.

2. გაერთიანების შემადგენლობაში შედიან მახარაძის რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის, სამომხმარებლო კოოპერაციის, საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“, „სამტრესტის“, „საქთევზმრეწვის“ საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც მახარაძის რაიონში მდებარეობენ (შემდგომში შემოკლებით იწოდებიან გაერთიანების მონაწილე მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები).

გადაწყვეტილებას გაერთიანებაში კოლმეურნეობების მონაწილეობის შესახებ დაამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება).

საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფო საწარმოები და დაწესებულებები რაიონულ გაერთიანებაში შევლენ ზემდგომი ორგანოების ნებართვით. სამეურნეობათაშორისო საწარმოები გაერთიანებაში შედიან მონაწილე მეურნეობების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გაერთიანების შემადგენლობიდან ცალკეულ მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გასვლის საკითხს გადაწყვეტს გაერთიანების საბჭო — კოლმეურნეობის მიმართ საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილების საფუძველზე, სხვა კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ—მათი წესდების (დებულების) შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ — მათი თხოვნის საფუძველზე ზემდგომი ორგანოების ნებართვით.

4. გაერთიანების მონაწილე მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებას, უწყებრივ დაქვემდებარებას, ახორციელებენ საქმიანობას თავიანთ წესდებათა და დებულებათა საფუძველზე.

5. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ძირითადი ამოცანებია:

— გაადიდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, შეასრულოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო გეგმები და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი, მოგების დავალებანი და სახელმწიფო გეგმის სხვა მაჩვენებლები, სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების გეგმა, თავიდან აიცილოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები, გააუმჯობესოს მისი შენახვა და ტრანსპორტირება, განახორციელოს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავება, ყოველმხრივ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა, გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და შეამციროს მისი თვითღირებულება, უზრუნველყოს გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დროული ანგარიშსწორება ბანკთან და მომწოდებლებთან;

უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურად დასაბუთებული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს გაერთიანებაში შემავალი თითოეული საწარმოსა და ორგანიზაციის საწარმოო რესურსები და შესაძლებლობანი მათი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის;

ფართოდ გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, უზრუნველყოს მიწის ფონდების, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, აამაღლოს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ვადები და ღირებულება, უზრუნველყოს კაპიტალური მშენებლობის, ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემისა და მათი სრულად გამოყენების დავალებათა შესრულება;

— სრულყოს დაგეგმვა, მართვა და სამეურნეო ანგარიში, დანერგოს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია;

— უზრუნველყოს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებასა და წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობა, მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალური განვითარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააუმჯობესოს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობები;

— განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად;

6. გაერთიანება ექვემდებარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ყველა სამინისტროსა და უწყების საწარმოები და ორგანიზაციები, გარდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, არიან ორმაგ დაქვემდებარებაში და მათი მართვა ხორციელდება მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებისა (თავის კომპეტენციის ფარგლებში) და შესაბამისი ზემდგომი სამინისტროსა და უწყების მიერ.

7. თავის საქმიანობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, რომლებიც გაერთიანებას შეეხება, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების ბრძანებებით და მითითებებით და ამ დებულებით. გაერთიანებას აქვს ბეჭედი, არის იურიდიული პირი, ხსნის ანგარიშებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

## II. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მართვა

8. გაერთიანების მართვის უმაღლესი ორგანოა მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით და რომელშიც თანამდებობრივად შედიან გაერთიანების თავმჯდომარე, მოადგილეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე გაერთიანების საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

გაერთიანების საბჭო ირჩევს გამგეობას 11 კაცის შემადგენლობით — თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, აპარატის განყოფილებათა ხელმძღვანელებს, დამზადების რაიონული გაერთიანების თავმჯდომარეს, ქიმიზაციის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარეს, „საქსახსოფლტექნიკის“ მახარაძის რაიონული გაერთიანების მმართველს, მახარაძის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს და ჩაის მრეწველობის გაერთიანების გენერალურ დირექტორს.

9. გაერთიანების საბჭო:

— განიხილავს და დაამტკიცებს გაერთიანებაში წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების, აგროსამრეწველო გაერთიანების, აგრეთვე სპეციალიზებულ და მომსახურე საწარმოთა შექმნის საკითხებს;

— განსაზღვრავს გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განიხილავს რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, გადამმუშავებელი და სხვა საწარმოების ახალი ობიექტების მშენებლობის განლაგებისა და არსებული ობიექტების რეკონსტრუქციის გეგმათა პროექტებს, მონაწილეობას მიიღებს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში მათ განხილვაში;

— განსაზღვრავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გაერთიანებების შემადგენლობაში შემავალი სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების თანხმობით გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების შესაქმნელად განკუთვნილი მათი სახსრების ოდენობას (მათი სპეციალიზაციის, რენტაბელობის დონისა და სხვა პირობების გათვალისწინებით), აგრეთვე გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების გამოყენების წესს;

— დაამტკიცებს გაერთიანების აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვას, ანარიცხების ოდენობასა და მათი შეტანის წესს;

— განიხილავს გაერთიანების მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პერიოდულ და წლიურ ანგარიშებს, შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და განსახილველად შეაქვს რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში, განხილვის შედეგებს აცნობებს ზემდგომ სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამისად;

— სისტემატურად წყვეტს შრომის ანაზღაურების სრულყოფის საკითხებს და გაერთიანებაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს მათ დასანერგავად;

— განიხილავს და გადაწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

10. გაერთიანების საბჭოს სხდომები მოიწვევა კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომები — საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით და სავალდებულოა გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციების ადმინისტრაციისათვის.

11. გაერთიანების გამგეობა:

— განიხილავს საწარმოო-საფინანსო გეგმების, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთაღრიცხვების, კაპიტალური დაბანდებების, მიმდინარე და პერსპექტიული სამეურნეო გეგმების პროექტებს, აგრეთვე რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების გეგმების პროექტებს და შეაქვს შესაბამისი წინადადება გაერთიანების საბჭოში დასამტკიცებლად;

— დაამტკიცებს შრომის შინაგანაწესს სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი წესის მიხედვით;

— დაამტკიცებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების გეგმებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოისმენს და განიხილავს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს საგეგმო დავალებათა და გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხებზე;

— წინადადებას წარუდგენს რაისაბჭოს აღმასკომს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა კოოპერაციული საწარმოების გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც არ შეესაბამება კანონმდებლობას, წესდებასა და დებულებას;

— განიხილავს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებასთან, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფასთან და მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— განიხილავს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ ვალების ჩამოწერის მასალებს, რომლის ამოღება უიმედოდაა ცნობილი, და მის ჩამოწერაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ამ მასალებს წარუდგენს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს;

— პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას, გადაწყვეტს გაერთიანების მონაწილე მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების მატერიალური და მორალური წახალისების საკითხებს;

— განიხილავს და გადაწყვეტს მისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

12. გაერთიანების გამგეობის სხდომები გაიმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

13. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა სამი მეოთხედი მაინც, გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

14. გაერთიანების თავმჯდომარე, იგივე საბჭოსა და გამგეობის თავმჯდომარე:

— აირჩევა საბჭოს მიერ, იგი არის მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მას ამტკიცებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

— განახორციელებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაერთიანების საქმიანობისადმი, უზრუნველყოფს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებების გადაწყვეტილებათა შესრულებას და პერსონალურად აგებს პასუხს გაერთიანების მდგომარეობისა და საქმიანობისათვის;

— რწმუნების გარეშე მოქმედებს გაერთიანების სახელით, წარმოადგენს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანების ქონებასა და სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს რწმუნებებს, გახსნის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს, გაანაწილებს მოვალეობებს განყოფილების უფროსებსა და სხვა სპეციალისტებს შორის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახდენს კადრების შერჩევასა და განაწილებას დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად, გამოიყენებს მატერიალური წახალისებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის არსებულ ფორმებს, უზრუნველყოფს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვას, გადაწყვეტს გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რომლებიც ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაში არ შედის.

15. გაერთიანების საწარმოო საქმიანობაში მუშაკთა ფართოდ ჩაბმის მიზნით მოიწვევა საწარმოო თათბირები, იქმნება სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, აგრეთვე ამხანაგური სასამართლო.

16. გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეებს, მმართველობის აპარატის განყოფილებათა უფროსებს, მთავარ სპეციალისტებს, გაერთიანებაში შემავალ სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელებს თანამდებობებზე ნიშნავენ და ათავისუფლებენ გაერთიანების წინადადებით მათი ზემდგომი ორგანოები.

17. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საქმიანობის შემოწმებასა და რევიზიას ეწევა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო წელიწადში ერთხელ.

18. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება სისტემატურ კონტროლს უწევს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობას, წელიწადში ერთხელ ატარებს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ რევიზიას, კოლმეურნეობებისა და საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ შემოწმებას, ყოველმხრივ დახმარებას უწევს კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიებს.

## III. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ქონება

19. გაერთიანების ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი სახსრები, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს, ცენტრალიზებული ფონდები, რეზერვები და გაერთიანებისათვის მიჩენილი სხვა ქონება.

20. მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამამუშავებელი სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების მონაწილეობით იქმნება შემდეგი ცენტრალიზებული ფონდები:

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

მატერიალური წახალისების ფონდი;

სარეზერვო ფონდი.

21. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ცენტრალიზებული ფონდი იქმნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული საკუთარი სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე გაერთიანების მიერ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის დონის შესაბამისად. ამასთან საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებს შეუძლიათ ცენტრალიზებულ ფონდში შეიტანონ მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრების ნაწილი, წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული მოგების, ძირითადი ფონდების აღსადგენად განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხებისა და სხვა საკუთარი სახსრების ნაწილი, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების განვითარებისათვის, ხოლო კოლმეურნეობებს — კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული ფონდის ნაწილი.

22. მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ცენტრალიზებული ფონდი გამოიყენება კოლმეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში შემდეგი ღონისძიებებისათვის;

— ხარჯები, რომლებსაც გაერთიანება გასწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების საერთო ინტერესების შესრულებისა და წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ღონისძიებათა განსახორციელებლად კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის;

— სატრანსპორტო საშუალებების, სამეურნეო ინვენტარის, მანქანებისა და მოწყობილობების შესაძენად;

— ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისა და წარმოების სრულყოფის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

— ელექტრიფიკაციის, ტელეფონიზაციის, რადიოფიკაციისა და სადისპეტჩერო სამუშაოთა შესასრულებლად;

— ორგანიზაციულ-სამეურნეო, სასელექციო-სანაშენო სამუშაოთა გეგმების შესადგენად;

— აგროქიმლაბორატორიებისა და ზოოვეტლაბორატორიების მოსაწყობად;

— სახელმწიფო ბანკის, სამშენებლო ბანკის სესხებისა და სესხის სარგებლის დასაფარავად.

აღნიშნული ფონდი სხვა ღონისძიებებისათვის გამოიყენება საბჭოს გადაწყვეტილებით.

კოლმეურნეობებში საიჯარო წესით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურება მოხდება ცენტრალიზებულად. მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხები ყოველკვარტალურად ჩაირიცხება გაერთიანების სპეციალურ ანგარიშზე და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ მოხდება მისი ცენტრალიზებული დაფინანსება.

23. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი იქმნება გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების 15 პროცენტამდე ცენტრალიზაციით.

24. გაერთიანების სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი გამოიყენება:

— გაერთიანებაში შემავალი ცალკეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების შესავსებად იმ შემთხვევაში, როცა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაუარესდა მათი ეკონომიკური მაჩვენებლები;

— გაერთიანების ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების, დასასვენებელი სახლების, სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, ტურისტული ბაზების, პიონერთა ბანაკების, საბავშვო ბაღების, ბაგების, სასადილოების, სპორტულ ნაგებობათა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის, გაფართოებისა და კაპიტალური რემონტისათვის, სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენისათვის, რომლებიც ზემოჩამოთვლილი ობიექტებისთვისაა გათვალისწინებული;

— გაერთიანების მართვის აპარატის მუშაკთა კულტსაყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

25. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი იქმნება გაერთიანების მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების 16 პროცენტამდე ცენტრალიზაციით.

მატერიალური წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში თანხების შეტანისაგან თავისუფლდებიან ის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო და სხვა საწარმო-ორგანიზაციები, რომლებიც სამეურნეო წელს ზარალით დაამთავრებენ.

26. გაერთიანების მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი გამოიყენება:

— გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სახელმწიფო საწარმოების ანალოგიური ფონდების შესავსებად მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესების შემთხვევაში;

გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების წევრების, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ნედლეულის პირველადი გადამმუშავებელი ფაბრიკების, საკონსერვო ქარხნის, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებისა და სხვა საწარმოების მუშაკთა პრემირებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს მუშაობაში.

პრემირებულ იქნებიან:

— ჩაის ფაბრიკებში კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მივლინებული კოლმეურნეები და მუშები, თუ ისინი შეასრულებენ გამომუშავების ნორმებს, ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალოდ გამომუშავებული თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხების ოდენობით წარმოებაში დარიცხულ ხელფასსა და ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალოდ გაცემულ ანაზღაურებას შორის სხვაობით.

— ერთობლივი საქმიანობის საფუძველზე მოწყობილ კომპლექსურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები და სხვა სამრეწველო საწარმოები დებულების შესაბამისად;

საჯელდობრ, პრემირებულ იქნებიან:

— სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში კომპლექსურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მეჩაიეები, მობილური მანქანისა და ხელით საკრეფი აპარატის მექანიზატორები, ნედლეულის მიღება-ტრანსპორტირებაზე დასაქმებული მუშაკები, მერგოლურები, ბრიგადირები, განყოფილებათა უფროსები;

— ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების სფეროში გამარჯვებული შრომითი კოლექტივი, მიმღები პუნქტების გამგეები, მტვირთავი მუშები, ფაბრიკის ცვლის უფროსები, საამქროთა გამგეები და კომპლექსურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ნედლეულის პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკა;

— „საქსახსოფლტექნიკის“ გაერთიანების ის მუშაკები, ცვლები და ბრიგადები, რომლებიც უზრუნველყოფენ რემონტის, ტექმომსახურებისა და ავტოტრანსპორტის მომსახურების გრაფიკის დაცვას;

— სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოებრივი კვების ის მუშაკები, რომლებიც მაღალხარისხოვნად მოემსახურებიან კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებისას;

— სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები და ის ბრიგადები, რომლებიც თავს გამოიჩენენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ტრანსპორტირებაში;

— საყოფაცხოვრებო მომსახურების ის მუშაკები, რომლებიც თავს გამოიჩენენ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშათა მაღალორგანიზებულად მომსახურებაში;

— ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები, რომლებიც თავს გამოიჩენენ და განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში;

— გაერთიანების აპარატის მუშაკები, მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

27. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გაერთიანების მუშაკებისათვის წლის განმავლობაში მიცემული წახალისების საშუალო სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშაკებისათვის ადგილებზე ანალოგიური ფონდებიდან მიცემულ წახალისების საშუალო ოდენობას.

28. გაერთიანების ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდი იქმნება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობებისა და სამეურნეოშათაშორისო ორგანიზაციებში არსებული სარეზერვო ფონდის ნაწილის ხარჯზე, რომლის სიდიდეს აწესებს გაერთიანების საბჭო ბუნებრივ-კლიმატური და სხვა ობიექტური პირობების გათვალისწინებით.

29. ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდიდან სახსრები გაიცემა:

— სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ზარალის იმ ნაწილის დასაფარავად, რომელსაც სახელმწიფო დაზღვევა არ ანაზღაურებს;

— გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მიერ სახბანკის სესხების არაუზრუნველყოფილი დავალიანების დასაფარავად;

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შესავსებად.

30. მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, მატერიალური წახალისებისა და სარეზერვო ცენტრალიზებული ფონდები იანგარიშება ყოველწლიურად წლიური ანგარიშების საფუძველზე. მეურნეობათა ანალოგიური ფონდებიდან თანხები ჩაირიცხება გაერთიანების შესაბამის ანგარიშზე და მათი ხარჯვა მოხდება ამ დებულების შესაბამისად საბჭოს გადაწყვეტილებით. გამოუყენებელი თანხები ამოღებას არ ექვემდებარება და გადადის შემდგომ წლებში.

31. გაერთიანების ლიკვიდაციის შემთხვევაში ცენტრალიზებული ფონდების გამოუყენებელი სახსრები ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გადაეცემა გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს აღნიშნული ფონდების შექმნაში მათი მონაწილეობის გათვალისწინებით.

32. გაერთიანების საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობა საწარმოო-საფინანსო გეგმით განისაზღვრება და ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებას არ საჭიროებს.

## სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობა

33. დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის გაერთიანება:

— განახორციელებს თავის საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე;

— შექმნის მმართველობის აპარატს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის თანახმად, მმართველობის აპარატის ხარჯები გაიღება მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხებიდან;

— უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმათა და ვალდებულებათა შესრულებას მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

— განახორციელებს ყველა მონაწილე მეურნეობის, საწარმოსა და ორგანიზაციის ეკონომიკურ ინტერესთა ერთიანობას და ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაამყარებს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეობათაშორისო კავშირურთიერთობას;

— ოპერატიულად გადაწყვეტს გაერთიანების მონაწილეთა მიერ სახელმწიფო დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— უზრუნველყოფს უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახანძრო წესების დაცვას და განახორციელებს გაჭუჭყიანებისაგან გარემოს, ნიადაგის, წყალსატევების, ატმოსფერული ჰაერის დაცვის ყველა ღონისძიებას, გამოყოფს ამ მიზნით საჭირო სახსრებს დაწესებული ნორმების მიხედვით;

— დაუწესებს მონაწილე მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს საგეგმო დავალებებს იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც დადგენილია დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისათვის;

— კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისათვის საგეგმო მაჩვენებლებს განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დავალებათა, ხოლო სამრეწველო წარმოებისათვის— მათი ზემდგომი ორგანოების მიერ დაშვებული ასორტიმენტით გამოშვებული პროდუქციის მოცულობით, პროდუქციის მიწოდების პირობების გათვალისწინებით და ვადების აღნიშვნით;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს თავის კომპეტენციის ფარგლებში მონაწილე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პერსპექტიულ და წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებსა და სოციალური განვითარების პროგრამას;

— ორგანიზაციას გაუწევს და უზრუნველყოფს რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღებას მომარაგებისა და გასაღების მოქმედი სისტემის გათვალისწინებით;

— განსაზღვრავს თავის შემადგენლობაში შემავალ მონაწილე მეურნეობებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად მოთხოვნილებას მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე და დადგენილი წესის თანახმად წარადგენს განაცხადებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებში აღნიშნული რესურსების გამოსაყოფად;

— გაანაწილებს გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და ფონდებს უშუალოდ მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით. განახორციელებს კონტროლს ფონდების გამოყოფისადმი, მიიღებს ზომებს მონაწილე მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოწყობილობის დროულად დადგმისა და ამოქმედებისათვის, არ დაუშვებს მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნას, დადგენილი წესით უზრუნველყოფს გაერთიანებაში არსებული ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების გასაღებას;

— უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას, პირველ რიგში მათ წარმართავს ძირითადი ფონდების ტექნიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის, სახსრების კონცენტრაციისა ასამუშავებელ მშენებლობებსა და ობიექტებზე;

— მიიღებს ზომებს მშენებლობის ვადების შემოკლებისათვის ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფს მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებული ნორმების საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ვადების დაცვას;

— დაამტკიცებს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით საიჯარო ორგანიზაციებთან დასადებ შინასამშენებლო სატიტულო სიებს, აგრეთვე იმ სამუშაოთა ერთიან ფასდებებს, რომელთა საჭიროება მშენებლობის მსვლელობაში წარმოიქმნება, თუ ამ სამუშაოთა ფასდებანი დამტკიცებული არ არის დადგენილი წესით;

— ორგანიზაციას გაუწევს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებას, ამ დოკუმენტაციისა და სატიტულო სიების დამტკიცებას, დაუდებს დადგენილი წესით სამშენებლო და სხვა სპეციალიზებულ ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად;

— დანიშნავს ზემდგომი ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული წესით სახელმწიფო მიმღებ კომისიებს მშენებლობათა, დაუმთავრებელ საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა საექსპლუატაციოდ მისაღებად, დახურავს საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა მშენებლობის კრებსით ხარჯთაღრიცხვებს მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ;

— ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის სამუშაოები შეიძლება განახორციელოს როგორც სამეურნეო, ასევე საიჯარო წესით;

— განახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემავალ სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელი კადრების, აგრეთვე გაერთიანების მმართველობის აპარატის შერჩევასა და განაწილებას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შესაქმნელად და მოსამზადებლად; განსაზღვრავს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე და მასობრივი პროფესიების კვალიფიციურ კადრებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოო-ორგანიზაციების მოთხოვნილებას, უზრუნველყოფს მუშათა და კოლმეურნეთა მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, განახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს ახალგაზრდა სპეციალისტთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაციონალურად გამოყენებისათვის და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს გაერთიანებაში მუდმივი კადრების შექმნას;

— კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების განხორციელებას და მატერიალური სტიმულირების ფონდების გამოყენებას;

— უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განახორციელებს საწარმოო აუცილებლობისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის კვალობაზე მუშახელის დროებით განაწილებას გაერთიანების შიგნით;

— ორგანიზაციას გაუწევს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას წარმოების მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის, სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარების, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და ამ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის საქმეში;

— არსებული წესის შესაბამისად გაანაწილებს საბრუნავ სახსრებს, საამორტიზაციო ფონდებსა და სხვა საშუალებებს უშუალოდ მონაწილე მეურნეობათა, სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის:

— წარუდგენს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს დაწესებულ ვადებში გაერთიანების ნაერთ ანგარიშებს და საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ბალანსებს;

— დიფერენცირებულად განსაზღვრავს მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-საანგარიშსწორებო ურთიერთობას იმ პროდუქციისათვის, რომელსაც ერთი საწარმო გადასცემს მეორეს დამატებით დასამუშავებლად (დასასრულებლად), აგრეთვე იმ სამუშაოებისა და მომსახურებისათვის, რომელთაც ერთი საწარმო უსრულებს და უწევს მეორეს;

— ჩამოართმევს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანების შემადგენლობაში შედიან, საკუთარი საბრუნავი სახსრების სიჭარბეს და გადაუნაწილებს მას ამავე სამინისტროს იმ საწარმოებს, რომელთაც აკლიათ აღნიშნული სახსრები, მისცემს სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებს დავალებებს, რათა უდავოდ ჩამოიწეროს ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებიდან საფინანსო გეგმის მიხედვით გადანაწილების წესით ჩამოსართმევი სახსრები, წლიური ანგარიშების მიხედვით ჭარბი საკუთარი საბრუნავი სახსრები, აგრეთვე ის სახსრები, რომლებიც მათ ცენტრალიზებული ფონდებიდან მიიღეს დაბრუნების პირობით და დროულად არ დაუბრუნებიათ;

— გაერთიანებაში შემავალი საწარმოების, ორგანიზაციების დაფინანსება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტება, მოგების („წმინდა შემოსავლის“) განაწილება და გამოყენება, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნა და გამოყენება წარმოებს მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული დებულების შესაბამისად;

— წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებს, აგრეთვე ზემდგომ ორგანოს, განაცხადებს გაერთიანების საჭირო კრედიტებზე, დატოვებს თავის განკარგულებაში კრედიტის თანხის რეზერვს საკრედიტო გეგმებით დაწესებული ოდენობით, აგრეთვე მისცემს ბანკის დაწესებულებებს გარანტიას მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საკრედიტო ვალდებულებათა გამო;

— ჩამოწერს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილე საბჭოთა მეურნეობების ბალანსიდან მორალურად მოძველებულ, გაცვეთილ და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარ მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალებებს, ინვენტარსა და ინსტრუმენტებს, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია, ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იგი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს;

— ორგანიზაციას უწევს გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებას და აწესებს კონტროლს მისი განხორციელებისადმი.

## V. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების აღრიცხვა-ანგარიშგება და საწამოო-საფინანსო საქმიანობის რევიზია

34. გაერთიანება დადგენილი წესით აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას და შეადგენს ანგარიშგებას; წარუდგენს დაწესებულ ვადებში შესაბამის ორგანოებს გაერთიანების შემადგენლობაში უშუალოდ შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის კრებსით ანგარიშებსა და ბალნსებს, მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის მდგომარეობას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სხვა საწარმო-ორგანიზაციებში დამტკიცებული ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით, მათ მიერ ანგარიშების შედგენას და დროულად წარდგენას შესაბამის ზემდგომ ორგანოებში და უზრუნველყოფს მათ უტყუარობას, განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, დაამტკიცებს საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, განახორციელებს საღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს.

35. გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ჩაატარებს სარევიზიო კომისია წელიწადში ერთხელ; თავისი მუშაობის შესახებ სარევიზიო კომისია ანგარიშს ჩააბარებს გაერთიანების საბჭოს.

36. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს გაერთიანების ხელმძღვანელებს წარუდგინონ მას საჭირო დოკუმენტები და ახსნა-განმარტებანი რევიზიის შედეგების შესახებ. სარევიზიო კომისია შედეგებს მოახსენებს გაერთიანების საბჭოს, აგრეთვე იმ ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს გაერთიანებას. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები რევიზიის დროს თავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოსაგან და შეუნარჩუნდებათ საშუალო გამომუშავება რევიზიის ჩასატარებლად დახარჯული დროისათვის.

37. გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შემოწმებას ჩაატარებენ ზემდგომი ორგანოები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## VI. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა

38. გაერთიანების რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) მოხდება მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულ წარმომადგენელთა საბჭოს გადაწყვეტილებით მას შემდეგ, როცა ამ საკითხს განიხილავს მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს გადაწყვეტილება გაერთიანების შექმნის შესახებ.

39. გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტას (ლიკვიდაციას) განახორციელებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც აირჩევს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულ წარმომადგენელთა საბჭო და დაამტკიცებს მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

40. სსრ კავშირის სახბანკის კრედიტებისა და გაერთიანების სხვა დავალიანების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონება და ფულადი სახსრები განაწილდება მონაწილეთა შორის არსებული კანონმდებლობის თანახმად.

---

## 33 საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭოს დებულების და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ და აღნიშნული საბჭოს შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 აპრილი, № 310

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 22 აპრილის № 310 დადგენილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ

1. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭო შექმნილია „წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 დეკემბრის № 830 დადგენილებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 5 ნოემბრის № 175 ბრძანების საფუძველზე კვალიფიციურ მუშათა მომზადების დარგში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების, ამ საქმეში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობის კოორდინაციის უზრუნველყოფის, წარმოებაში მუშათა სწავლების სამეცნიერო-მეთოდიკური და ორგანიზაციული პრობლემების ყოველმხრივი შესწავლის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

2. საუწყებათაშორისო საბჭო, ხელმძღვანელობს რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით, მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდეგ ყველაზე აქტუალურ და პრინციპულ საკითხებზე:

— პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება ჩვენს ქვეყანაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილებებისა და სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გათვალისწინებით;

— მომავალ მუშათა სწავლისა და აღზრდის შინაარსი;

— სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა და მუშათა სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერება, წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების ორგანიზაციისათვის სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის კოორდინაცია და ტიპობრივი სასწავლო-მეთოდიკური დოკუმენტაციის შემუშავება;

— თეორიული სწავლების მასწავლებელთა და საწარმოო სწავლების ინსტრუქტორთა პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების ორგანიზაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა სწავლების დარგში მეცნიერული კვლევის კოორდინაციის, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის მეცნიერული და მეთოდიკური საფუძვლები და სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკაში მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვის ღონისძიებანი;

— სახალხო მეურნეობისათვის მუშათა კადრების მომზადების მოწინავე გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და გავრცელების ორგანიზაცია,

— სამინისტროთა და უწყებათა წინადადებანი მუშათა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, მათი ოსტატობის განუწყვეტელი სრულყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის შესახებ.

3. პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭო იქმნება შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლები, საბჭოს წევრები, აგრეთვე პასუხისმგებელი მდივანი.

საუწყებათაშორისო საბჭოში შედიან საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა მუშაკები.

საუწყებათაშორისო საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში მისი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნება საბჭოს ბიურო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, პასუხისმგებელი მდივნისა და საბჭოს წევრთა შემადგენლობით. ბიუროს შემადგენლობა დამტკიცდება საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომაზე.

საუწყებათაშორისო საბჭოსთან შეიძლება შეიქმნას მუდმივმოქმედი (ან დროებითი) კომისიები მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებს.

4. საუწყებათაშორისო საბჭოს პერსპექტიული სამუშაო გეგმები დამტკიცდება საბჭოს სხდომაზე.

საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომები გაიმართება, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ მაინც.

5. საუწყებათაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მუშათა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 22 აპრილის № 310 დადგენილებით

## შემადგენლობა

**საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭოსი**

სერგი ტარასის ძე **რიგვავა** — საბჭოს თავმჯდომარე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

ზურაბ გიორგის ძე **სარალიძე** — საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის **გმირი;**

ლევან მიხეილის ძე **ისაკაძე** — საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ვასილ ივანეს ძე **კადენეცი** — საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

— საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი;

ასლან იბრაჰიმის ძე **აბაშიძე** — ბათუმის № 44 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;

გივი ზურაბის ძე **აბდუშელიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

გოგოთურ დავითის ძე **აგლაძე** — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი;

ვადიმ გიორგის ძე **ანასტასიადი** — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი;

აკაკი სემინარის ძე **ახვლედიანი** — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი;

დიმიტრი იოსების ძე **ბაკურაძე** — საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე;

შოთა მოსეს ძე **ბეზარაშვილი** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| თენგიზ ეფრემის ძე **ბელტიხინი** | — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის მმართველი; |
| ზურაბ ვასილის ძე **ბოლქვაძე** | — თბილისის კამოს სახელობის სასხმელ-მექანიკური ქარხნის დირექტორი; |
| ბორის შალვას ძე **ბოჭორიშვილი** | — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე; |
| ოთარ გიორგის ძე **გვახარია** | — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ გენერალური დირექტორი; |
| ალექსანდრე სარდიონის ძე **გიორხელიძე** | — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე; |
| არჩილ გრიგოლის ძე **გოგელია** | — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი; |
| გიორგი ტროფიმეს ძე **გოგოლაძე** | — რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექტორი; |
| ბარბალე ნიკოლოზის ასული **გრიგალაშვილი** | — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე; |
| ივანე მიხეილის ძე **გრძელიძე** | — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორი; |
| ნუგზარ ალექსანდრეს ძე **გუნცაძე** | — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მმართველი; |
| მიხეილ დანიელის ძე **დავითაშვილი** | — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი |
| ნათელა შალვას ასული **ვასაძე** | — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი; |
| ჯემალ სერგის ძე **ზამბახიძე** | — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ფერდინანდ ნესტორის ძე **თავაძე** | — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი; |
| რევაზ ნიკოლოზის ძე **თევზაძე** | — საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი; |
| გიორგი კონსტანტინეს ძე **თოდრია** | — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე; |
| პანტიკო შალვას ძე **თორდია** | — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი; |
| თენგიზ ვალერიანის ძე **თუმანიშვილი** | — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის **სახელმწიფო ინსპექციის** უფროსი; |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი გრიგოლის ძე **კაკაურიძე** — საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე;

რამაზ ნიკოლოზის ძე **კანდელაკი** — საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე პეტრეს ძე **კაპანაძე** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების ინსტრუქტორი;

მანანა კალისტრატეს ასული **კობახიძე** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე;

გიორგი ნიკოლოზის ძე **კურტანიძე** — თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;

რობერტ გიორგის ძე **ლეიაშვილი** — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე;

თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **ლოლაძე** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში;

გივი ნიკოლოზის ძე **ლოლიაშვილი** — სოფელ ენისლის № 2 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;

ბორის გრიგოლის ძე **ლომაია** — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი;

ოთარ ალექსანდრეს ძე **ლომიძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;

გიორგი ისიდორეს ძე **მახარაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი;

რევაზ დავითის ძე **მერკვილაძე** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი;

ვალერიან იოსების ძე **მეტრეველი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| კონსტანტინე ტრიფონის ძე **მიქიაშვილი** | — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| რობერტ დავითის ძე **ნიკურაძე** | — თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსი; |
| ჯემალ ალექსანდრეს ძე **ნინუა** | — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი; |
| თამაზ მიხეილის ძე **ნიორაძე** | — თბილისის მექანიკური ქარხნის დირექტორი; |
| ვლადიმერ ვლადიმერის ძე **ოსეპჩუკი** | — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ირაკლი სერგის ძე **ჟორდანია** | — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგლე; |
| დავით ვალერიანის ძე **როგავა** | — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| ტრიფონ ვახტანგის ძე **როსტიაშვილი** | — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; |
| ამირან ნიკოლოზის ძე **საგანელიძე** | — ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის მმართველი; |
| არმაზ რომანოზის ძე **სანებლიძე** | — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ჯუღა ისაკის ძე **სიხარულიძე** | — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე; |
| ეთერ ბეგლარის ასული **სოლომონია** | — თბილისის № 36 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი; |
| ოთარ ნიკოლოზის ძე **სულაძე** | — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი; |
| კირილე ნიკიფორეს ძე **უკლება** | — საქმთავარწყალმშენის უფროსის მოადგილე; |
| იური თეიმურაზის ძე **ურუშაძე** | — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| გივი ვარლამის ძე **ფანჩულიძე** | — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგის მოადგილე; |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| შოთა აკაკის ძე **ფირცხალავა** | — საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი; |
| ოთარ ალექსანდრეს ძე **ქავთარაძე** | — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე; |
| ტრისტან ილიას ძე **ქართველიშვილი** | — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; |
| თინა კონსტანტინეს ასული **ქუთათელაძე** | — საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე; |
| ვიქტორ ვლადიმერის ძე **ქუჩულორია** | — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე; |
| ვალერიან თევდორეს ძე **ღვინჯილია** | — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ გენერალური დირექტორი; |
| არჩილ სევერიანის ძე **ღოღობერიძე** | — საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| გივი დომენტის ძე **ყიფიანი** | — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე; |
| ვარლამ ივანეს ძე **შადური** | — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; |
| ნიკოლოზ დავითის ძე **შველიძე** | — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი; |
| მურმან კონსტანტინეს ძე **შუბითიძე** | — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე; |
| ალექსანდრე ლევანის ძე **ჩარკვიანი** | — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე; |
| ომარ ივანეს ძე **ჩერქეზიშვილი** | — თბილისის № 71 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროსი ოსტატი; |
| აბესალომ კონსტანტინეს ძე **ჩეჩელაშვილი** | — აღმოსავლეთ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი; |
| ზურაბ დავითის ძე **ჩივაძე** | — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ დირექტორი; |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| რაფიელ ირაკლის ძე **ჩიქოვანი** | — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ-ქარხნის დირექტორი; |
| ირაკლი ვარდენის ძე **ჩიჩუა** | — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე; |
| რევაზ ტარასის ძე **ჩხაიძე** | — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე; |
| გიორგი მიხეილის ძე **ჩხეიძე** | — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი |
| ჯემალ ვასილის ძე **ჩხენკელი** | — დასავლეთ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი; |
| მიხეილ აპოლონის ძე **ცისკარიშვილი** | — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი; |
| ვლადიმერ ვიაჩესლავის ძე **ცოცხაძე** | — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი; |
| აბესალომ ვიქტორის ძე **ჭანტურია** | — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი; |
| იური ესტატეს ძე **ჭედია** | — საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს უფროსი; |
| ნოდარ ავქსენტის ძე **ჭყონია** | — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; |
| იოსებ გრიგოლის ძე **ხაზარაძე** | — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი; |
| ვახტანგ ივანეს ძე **ხარებავა** | — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი; |
| ილია შალვას ძე **ხეროდინაშვილი** | — საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე; |
| ადოლფ ვარლამის ძე **ხუროძე** | — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ დირექტორი; |
| ტარიელ გიორგის ძე **ჯაბაური** | — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი; |
| გურამ შალვას ძე **ჯიქიძე** | — საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ გენერალური დირექტორი.ძ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 34 საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 ოქტომბრის № 597 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 22 აპრილი, № 311

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 22 აპრილის № 311
დადგენილებით

## დებულება

### საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობას რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის რიცხვიდან მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადებისა და კომუნისტური აღზრდისადმი, უწევს სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს მეთოდურ დახმარებას უშუალოდ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების საქმეში და პასუხისმგებელია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარება რესპუბლიკაში ახალგაზრდობის რიცხვიდან კვალიფიციურ მუშათა გეგმაზომიერი მომზადების მიზნით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;

უზრუნველყოს მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადების ხარისხის შემდგომი ამაღლება სასწავლო პროცესში პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ელემენტების, სწავლების ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსური გამოყენების, საგანთშორისი ურთიერთობისა და ზოგად და პოლიტექნიკურ განათლებასთან პროფესიული მომზადების ურთიერთკავშირის დანერგვის გზით, შექმნას იმის პირობები, რომ მოსწავლეებმა შეისწავლონ წარმოების მოწინავეთა მუშაობის გამოცდილება და მეთოდები. ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, ჩააბას ისინი რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობაში, სრულყოს საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის გაკვეთილები თანამედროვე წარმოების გათვალისწინებით, გააუმჯობესოს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა, მათი მორალური, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარება;

შეასრულოს მაღალკვალიფიციურ მუშათა მომზადების დავალებანი და სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სხვა დავალებანი, უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვა;

განახორციელოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და უშუალოდ წარმოებაში სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა მომზადების დარგში, შემდგომ სრულყოს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად;

გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს დახმარება კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა და გადამზადების საქმეში;

შეიმუშაოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარების ცალკეული პრობლემები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს ამ პრობლემებზე მეცნიერულ გამოკვლევებში, რომელთაც სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მოაწყობს;

უზრუნველყოს მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევათა გამოყენება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საწარმოებში მაღალკვალიფიციურ მუშათა მომზადებისას;

უზრუნველყოს კონტროლი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში კვალიფიციურ მუშათა მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, აგრეთვე წარმოებაში მუშათა კადრების მოსამზადებლად სასწავლებლების ქსელის განვითარებისა და მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისადმი;

დანერგოს მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს კომიტეტის სისტემის სასწავლებლები, სხვა დაწესებულებანი და ორგანოები კვალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიციური კადრებით, შექმნას მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობები, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი;

გააუმჯობესოს კომიტეტის სისტემის სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანოების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შექმნას მათთვის შრომის უსაფრთხო პირობები.

3. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობს კომიტეტის სისტემის სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების ზონალური და საქალაქო სამმართველოების მეშვეობით ან უშუალოდ.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ზონალური და საქალაქო სამმართველოები, მათდამი დაქვემდებარებული სასწავლებლები და სხვა დაწესებულებანი შეადგენენ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემას.

4. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს კონტროლს რესპუბლიკის ყველა პროფესიულ სასწავლებელსა და სკოლაში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადების ხარისხისადმი.

5. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით, აგრეთვე სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში, სხვა დაწესებულებებსა და ორგანოებში.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

6. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად ღონისძიებებს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეიმუშავებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების წინადადებათა საფუძველზე რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის განვითარების, ამ სასწავლებლებში მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილების შესაბამისად და მუშათა პროფესიული შემადგენლობის ცვლილებების გათვალისწინებით, და წარუდგენს გეგმათა პროექტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ. კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს;

მოაწყობს მუშაობას კომიტეტის საქვეუწყებო სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანოების მიერ წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტების შესადგენად, შეიმუშავებს მეთოდიკურ მითითებებს ამ გეგმების პროექტების მოსამზადებლად;

დაუგზავნის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოებს დავალებებს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში მაღალკვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად (მოსწავლეთა მიღება, ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთა სამუშაოდ გაგზავნა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ასეთ მუშათა მომზადების გეგმების შესაბამისად;

გ) შეიმუშავებს და წარუდგენს განსახილველად სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს წინადადებებს კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში მიღების წესების, ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა სწავლების რაციონალური ვადების, იმ პროფესიათა ნუსხების შესახებ, რომლებშიც ხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, პროფესიათა სირთულის შესაბამისად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობის საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს კომიტეტის სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის ნორმების შესახებ წინადადებათა შემუშავებაში;

დ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად და წარუდგენს განსახილველად სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს წინადადებებს კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მოსამზადებლად სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სხვა სასწავლო-მეთოდიკური და ნორმატიული დოკუმენტების სრულყოფის შესახებ, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გათვალისწინებით; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად მოაწყობს მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში;

ე) ხელმძღვანელობას გაუწევს სპეციალური და საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების დაყენებას კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში, უზრუნველყოფს ამ დისციპლინებში ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის მომზადებასა და გამოცემას; დადგენილი წესით შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს კომიტეტის სისტემის სასწავლებლების მასწავლებელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ვ) განახორციელებს სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადებისადმი, უზრუნველყოფს სამხედრო ხელმძღვანელთა შერჩევას, შექმნის დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალურ ბაზას, მოაწყობს მუშაობას მოსწავლეთა სამხედრო-პოლიტიკური აღზრდისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის და კომიტეტის სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

ზ) წარუდგენს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადებისათვის სასწავლო პედაგოგიური და მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემის გეგმებს, მოაწყობს დადგენილი წესით სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის, სასწავლო თვალსაჩინოებათა მომზადებასა და გამოცემას, აგრეთვე უზრუნველყოფს ამით კომიტეტის სისტემის სასწავლებლებს;

თ) განახორციელებს კონტროლს სამინისტროთა და უწყებათა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადებისას სასწავლო გეგმების, პროგრამების, ინსტრუქციებისა და დებულებების შესრულებისადმი, აგრეთვე გაუწევს სამინისტროებსა და უწყებებს მეთოდიკურ დახმარებას უშუალოდ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების საქმეში;

ი) შეიმუშავებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად ღონისძიებებს კომიტეტის სისტემის სასწავლებლებისათვის ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა მოსამზადებლად;

კ) შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებას პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში;

ლ) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად ღონისძიებებს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებისა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოწყობისას ახალგაზრდობის მიერ პროფესიის სწორი შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით;

მ) სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეიმუშავებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საერთო საცხოვრებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების, სასადილოებისა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის საჭირო სხვა სადგომების, აგრეთვე კომიტეტის სისტემის სასწავლებლების მუშაკთათვის საცხოვრებელი სახლების კაპიტალური მშენებლობის გეგმებს;

უზრუნველყოფს კონტროლს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი;

განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას კომიტეტის სისტემაში, უზრუნველყოფს უშუალოდ კომიტეტისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურ გამოყენებას, მშენებლობის ობიექტების მიზანშეწონილ განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას;

შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს; უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავებას, ექსპერტიზას, დამტკიცებასა და მიცემას მშენებლობებისათვის; განახორციელებს კონტროლს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხისა და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, აგრეთვე ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მშენებარე ობიექტებისათვის მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხისადმი; მოაწყობს ტექნიკურ და საავტორო ზედამხედველობას მშენებლობისადმი;

უზრუნველყოფს მშენებლობის დაფინანსებას და მშენებლობათა მომარაგებას იმ მოწყობილობით, ნაკეთობებითა და მასალებით, რომელთა მიწოდება შემკვეთს ევალება;

განახორციელებს კონტროლს საქვეუწყებო სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთების განაწილებისადმი;

უზრუნველყოფს ობიექტებისა და ძირითადი ფონდების დროულად გადაცემას საექსპლუატაციოდ; დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს მშენებლობადამთავრებული ობიექტებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მისაღებად, დაამტკიცებს მიღების აქტებს, მიიღებს გადაწყვეტილებებს კრებსით სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებათა დახურვის შესახებ;

უზრუნველყოფს პროფესიულ-ტექნიკური განათლების შენობა-ნაგებობათა კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს და მოვლა-შენახვას ჯეროვან მდგომარეობაში;

ნ) უზრუნველყოფს კომიტეტის სასწავლებლების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

ო) დააფინანსებს დადგენილი წესით პროფესიულ-ტექნიკური განათლების ზონალურ სამმართველოებს, კომიტეტის სასწავლებლებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, დაამტკიცებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და კომიტეტის საქვეუწყებო სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების ხარჯთაღრიცხვებსა და შრომის გეგმებს, მათი საწარმოო საქმიანობის გეგმებს, მმართველობის აპარატის შენახვის ასიგნებებს;

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა საწარმოო საქმიანობით მიღებული მოგების ნაწილს მოახმარს სასწავლებლების სასწავლო-საწარმოო ბაზის განმტკიცებას, მოსწავლეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საუკეთესო მუშაკთა და მოსწავლეთა მატერიალურ წახალისებას (საწარმოო საქმიანობით მიღებული სახსრების ხარჯვის წესი შეუთანხმდება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს);

ბ) მოაწყობს კომიტეტის სისტემაში საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, ეკონომიის რეჟიმის დაცვას; მიიღებს ზომებს სახელმწიფო ქონების დასაცავად და მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

ვ) მოაწყობს კომიტეტის სისტემაში სამართლებრივ მუშაობას, უზრუნველყოფს კომიტეტის მმართველობის ორგანოების, სასწავლებლების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;

რ) მოაწყობს მშრომელთა წერილების (წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, უზრუნველყოფს ამ წერილებში დაყენებული და კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებთან პირადი მიღების დროს აღძრული იმ საკითხების სწორად გადაწყვეტას, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება;

ს) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად მოაწყობს სასწავლებლებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებას კომიტეტის სისტემის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, შეაჯამებს შეჯიბრების შედეგებს და მიაკუთვნებს გამარჯვებულ კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებსა და პრემიებს;

დააჯილდოებს დადგენილი წესით კომიტეტის სისტემის მოწინავე მუშაკებს საპატიო სიგელებით, გამოიყენებს სხვა სახის წახალისებას; ჩვენს ქვეყანაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებისათვის, მუშათა მომზადებისა და წარმოების პირობებში მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შექმნის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან პროფესიულ-ტექნიკური განათლების, წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭოს.

7. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს სასწავლებლებს, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამტკიცებული გეგმისა და გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, აგრეთვე გადაიყვანს დადგენილი წესით პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესაბამის ჯგუფებში.

8. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, სამინისტროებისაგან, სახელმწიფო კომიტეტებისაგან, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან დაწესებული სტატისტიკური ანგარიშგება, აგრეთვე ცნობები და მასალები პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე;

ბ) მოიწვიოს დადგენილი წესით აქტივის თათბირები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, მოისმინოს და განიხილოს ამ თათბირებზე მიხსენებანი სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებზე, პროფესიულ-ტექნიკური განათლების უმნიშვნელოვანესი პრობლემები, აგრეთვე განიხილოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების საფუძველზე კომიტეტის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების, მათი საქვეუწყებო სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

9. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

10. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის, აწესებს თავმჯდომარის მოადგილეთა, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა, კომიტეტის სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის სისტემის სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

11. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და მისცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოების, კომიტეტის სისტემის სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო შემთხვევებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად.

12. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეები და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სხვა მუშაკები.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარების ძირითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებისადმი, სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, მოისმენს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოთა, კომიტეტის სამმართველოთა და განყოფილებათა, კომიტეტის სისტემის სასწავლებელთა და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ანგარიშებს, აგრეთვე სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ინფორმაციებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის განვითარების შესახებ და კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე კომიტეტის სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

15. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ვერბი და აღნიშნულია კომიტეტის დასახელება.

---

## 35 სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილება თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 25 აპრილი, № 321.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 25 აპრილის № 321 დადგენილებით

## ნუსხა

## სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 13 ნოემბრის დადგენილება „კერძო მასწავლებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ., № 16, მუხ. 161).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 10 მაისის დადგენილება „უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულ პირთა კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისიების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ., № 12, მუხ. 113).

3. „ხონის ყოფილი სამოსწავლო სემინარიის, ამჟამად პედაგოგიური ტექნიკუმის, 50 წლის არსებობის აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 19 დეკემბრის დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტები (საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ., № 2, მუხ. 18).

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „მხარეთმცოდნეობის საქმის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ., № 22, მუხ. 216).

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 31 აგვისტოს დადგენილება „მასწავლებელთა და პოლიტგანათლების მომუშავეთათვის ლიტერატურის შესაძენად შეღავათიანი პირობების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1933 წ., № 21, მუხ. 282).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 21 დეკემბრის დადგენილება „უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში ცხოვრებისათვის გადასახდევინებელი სასყიდლის თაობაზე, გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1933 წ., № 2, მუხ. 42).

7. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 10 იანვრის დადგენილება „ტექნიკუმებისა და მუშათა ფაკულტეტების მასწავლებელთათვის ჯამაგირის პერიოდული მომატებისა და დამატებითი სამუშაო ხელფასის დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1934 წ., № 21, მუხ. 187).

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 22 მაისის დადგენილება „პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1934 წ., № 16, მუხ. 151).

9. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 28 ივლისის დადგენილება „პედაგოგიური განათლების მქონე პირთა მათ სპეციალობაში გამოყენების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1934 წ., № 25, მუხ. 197).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 20 მაისის № 645 დადგენილება „მასიური სკოლების პედაგოგიური პერსონალისა და მომუშავეთა სხვა კატეგორიებისათვის, რომლებიც სამუშაო ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ, თავის დროზე სამუშაო ხელფასის მისაცემად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1935 წ., № 16, მუხ. 114).

11. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 9 აგვისტოს № 957 დადგენილება „მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მომუშავეების სამუშაო ხელფასის გადიდების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1936 წ., № 24, მუხ. 141).

12. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 3 იანვრის № 14 დადგენილება „თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სპეციალისტთა განაწილების წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. და განკ. კრებ., 1939 წ., № 1, მუხ. 2).

13. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 13 მაისის № 845 დადგენილება „უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. და განკ. კრებ., 1939 წ., № 15, მუხ. 60).

14. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 23 ნოემბრის № 2375 დადგენილება „თბილისში სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის ორგანიზაციის შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. და განკ. კრებ., 1940 წ., № 29, მუხ. 134).

15. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 19 თებერვლის № 230 დადგენილება „სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლების და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოსწავლეთა მიერ კომუნალური აბანოებით სარგებლობის ტარიფის შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. და განკ. კრებ., 1941 წ., № 10, მუხ. 53).

16. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 26 მარტის № 506 დადგენილება „სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სასწავლო საწარმოო შენობებისა და საერთო საცხოვრებლების მოსაწყობად და სარემონტოდ სახალხო კომისარიატების მიერ გაწეული ხარჯების ჩამოწერის შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. და განკ. კრებ., 1941 წ., № 13, მუხ. 84).

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 10 იანვრის № 44 დადგენილება „საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარიატთან სასწავლო-მეთოდური საბჭოს შექმნის შესახებ“.

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 20 ივნისის № 1000 დადგენილება „საქართველოს სსრ მასწავლებლებისა და მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-თანამშრომლებისათვის შრომითი შვებულების მიცემის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 18 ივლისის № 1134 დადგენილება „1942 წლისათვის ტექნიკუმებში მიღების გეგმისა და მათი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

20. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 8 იანვრის № 23 დადგენილება „მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების შემოღებასთან დაკავშირებით სკოლების, I-IV კლასების მასწავლებელთათვის ხელფასის განაკვეთის შენარჩუნების შესახებ“.

21. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 23 აპრილის № 578 დადგენილება „სასწავლებელთა მუშაკებისათვის შრომითი შვებულების მიცემის შესახებ“.

22. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 13 მაისის № 701 დადგენილება „პედაგოგიური სასწავლებლების სამხედრო ხელმძღვანელთა და სამხედრო საქმის მასწავლებელთა ხელფასის განაკვეთის შესახებ“.

23. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 22 ნოემბრის № 1647 დადგენილება „4-წლიანი სწავლების ვადის უმაღლეს სასწავლებელთა IV კურსის სტიპენდიების რაოდენობის შესახებ“.

24. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის № 1756 დადგენილება „სასკოლო ასაკის (7-დან 17 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

25. „საქართველოს სსრ-ში დაუსწრებელი პედაგოგიური განათლების სისტემის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 5 იანვრის № 14 დადგენილების მე-4, მე-5 და მე-10 პუნქტები.

26. „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს VIII და XI კლასების მასწავლებლებისათვის ხელფასის ანაზღაურებისა და VIII კლასების მოსწავლეების სწავლის ქირისაგან განთავისუფლების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 24 ოქტომბრის № 975 დადგენილების I პუნქტი.

27. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 23 მაისის № 471 დადგენილება „მოზარდთათვის რუსული ენის შესასწავლი კურსების მოწყობის შესახებ“.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 15 ივლისის № 720 დადგენილება „პედაგოგიური სასწავლებლების წესდების დამტკიცების შესახებ“.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 1 აგვისტოს № 782 დადგენილება „სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგების საქმის მოწესრიგების შესახებ“.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 24 აგვისტოს № 956 დადგენილება „აბაშის, ყვარლისა და მაიაკოვსკის რაიცენტრების საშუალო სკოლებში 1948-49 სასწავლო წელს ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების შემოღების შესახებ“.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 4 დეკემბრის № 1423 დადგენილება „იმ ყრუ-მუნჯთა და უსინათლო მოქალაქეთა სტაციონარ-დიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობენ“.

32. „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლის გარეშე დაწესებულებების ქსელის მოწესრიგებისა და ტიპობრივი შტატების და მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 ივნისის № 775 დადგენილების 1,7 და 9 პუნქტები 1966 წლის 2 დეკემბრის № 686 დადგენილების რედაქციით.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 ნოემბრის № 1781 დადგენილება „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგიერთ საშუალო სკოლაში ლათინური ენის სწავლების დამატებით შემოღების შესახებ“.

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 მარტის № 222 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 22 იანვრის № 51 და 1944 წლის 26 ივლისის № 836 დადგენილებების შეცვლის შესახებ“.

35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 ივლისის № 404 დადგენილება „შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სასწავლებლებში კოლმეურნეობებისათვის კვალიფიციური საწარმოო კადრების მომზადების შესახებ“, მე-4 პუნქტის გარდა.

36. „სოფლის ახალგაზრდობის შვიდწლიანი სკოლების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებად გადაკეთების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 აგვისტოს № 466 დადგენილების მე-4 პუნქტი.

37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 მაისის № 294 დადგენილება „საქართველოს სსრ განსახკომის სკოლების ინსპექტორების შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 9 აგვისტოს № 975 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“.

38. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 ივნისის № 342 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

39. „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის № 763 დადგენილების 1 პუნქტი.

40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 მაისის № 357 დადგენილება „რვაწლიანი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლებიანი და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დებულების დამტკიცების შესახებ“.

41. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 აგვისტოს № 547 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების შექმნის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 ივლისის № 429 დადგენილების მე-4 პუნქტი.

43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 209 დადგენილება „საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დებულების დამტკიცების შესახებ".

44. „საქართველოს სსრ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღებისა და გამოშვების 1968 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 25 აპრილის № 191 დადგენილების მე-3 პუნქტი.

---

ინდექსი—76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2. 1980 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/X-80 წ. ქაღალდის ზომა 70×1/16
საბეჭდი თაბახი 4, სააღრიცხვო თაბახი 4

შეკვეთა № 549 უე 04408 ტირაჟი 1730

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ბ. 160/38

ეროვნული
ბიბლიოთეკა